გაკვეთილი 1: მობილობა და მობილობის სხვადასხვა პრობლემები

- მობილობა არის თავისუფლად და მარტივად გადაადგილების უნარი. შეძლებისდაგვარად მაქსიმალური მობილობა ძალიან მნიშვნელოვანია ჯანმრთელობისთვის, ჩართულობისა და მონაწილეობისთვის.
- გადაადგილებისთვის დამხმარე საშუალებებს იყენებენ ყველა ასაკის ადამიანები, რომლებსაც აქვთ გადაადგილების სირთულეები. მათ შეუძლიათ:
    - უზრუნველყოს პირის დახმარება დაჯდომაში, ადგომაში, სიარულსა და დაცემის თავიდან აცილებაში
    - უზრუნველყოს გადაადგილების განსხვავებული ფორმით პირი, რომელსაც არ შეუძლია სიარული
    - უზრუნველყოს პირის მხარდაჭერა გარემოზე წვდომის მიღებაში
    - დახმარება ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვაში ან პრევენციაში
- ადამიანებს შეიძლება უჭირდეთ გადაადგილება მრავალი მიზეზის გამო, როგორიცაა დაზიანებები ან ჭრილობები, სისუსტე ან სიმყიფე, ტკივილი ან დაჭიმულობა, დამბლა და ამპუტაცია, წონასწორობის ან კოორდინაციის დარღვევა, დაქვეითებული მგრძნობელობა (შეგრძნება)
- ტერფის ჭრილობა არის კანის რღვევა ტერფის ნებისმიერ მონაკვეთზე
    - ტერფის ინფიცირებული ჭრილობა საკმაოდ სერიოზულია, რადგან შეიძლება გამოიწვიოს ამპუტაცია და სიკვდილიც კი.
    - როდესაც წარმოიქმნება ტერფის ჭრილობა, მათი ადრეული იდენტიფიკაციისა და დამუშავების გზით, შესაძლებელია ამპუტაციის თავიდან აცილება.
    - შემდეგი ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირებს აქვთ ტერფის ჭრილობის გაზრდილი რისკი, მათ შორის მგრძნობელობის დაკარგვა (დამცავი შეგრძნება) ტერფებში, სისხლის ნაკადის შემცირება, ფეხის უჩვეულო ფორმა, თითების ან ტერფის ამპუტაცია.

გაკვეთილი 2: გადაადგილებისთვის დამხმარე საშუალებები

- დამხმარე პროდუქტების სწავლების მოდულები მოიცავს გადაადგილებისთვის დამხმარე მარტივ საშუალებებს, რომლითაც შეიძლება საზოგადოების წევრების ადვილად უზრუნველყოფა ისეთი პერსონალის მიერ, რომელსაც გავლილი აქვს გარკვეული სწავლება და რომელიც ფლობს მინიმალურ რესურსებს. იხილეთ ქვემოთ:

პროდუქტი	სასარგებლოა მათთვის, ვისაც:
გადასაადგილებელი დამხმარე საშუალებები, მათ შორის ხელჯოხები, იდაყვის ყავარჯნები, იღლიის ყავარჯნები, სიარულში დამხმარე ჩარჩოები, როლატორები	• შეუძლია სიარული, მაგრამ საჭიროებს დამატებით მხარდაჭერას უსაფრთხოდ ან შორ მანძილზე გადასაადგილებლად • წონის გადატანა მხოლოდ ერთ ფეხზე შეუძლია, მაგალითად პირებს, რომლებსაც აქვთ ამპუტაცია ან ფეხის ტრავმა.

პროდუქტი	სასარგებლოა მათთვის, ვისაც:
პორტატული პანდუსები, რომლებიც არ არის დამაგრებული ადგილზე.	• უწევს ეტლის, როლატორის ან დამხმარე ჩარჩოების გამოყენება • სჭირდება მცირე რაოდენობის საფეხურების მქონე უბნებზე წვდომა • აქვს ძალა პორტატული პანდუსის ასაწევად, ან გააჩნია დამხმარე პირი.
სახელურები, რომლებიც ხელს უწყობენ პირებს სისუსტით ან წონასწორობის დარღვევით, უსაფრთხოდ გადაადგილდნენ ერთი პოზიციიდან მეორეზე.	• ესაჭიროება დამატებითი მხარდაჭერა საძინებელში, აბაზანაში, საპირფარეშოში ან საფეხურებზე გადაადგილებისას • შეუძლია ერთი ან ორივე ხელით მოჭიდება • მათი დამონტაჟება შეიძლება როგორც სახლში, ასევე საჯარო სივრცეში.
გადასაყვანი დაფები, პირის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილებისთვის.	• უჭირს უსაფრთხოდ ადგომა ან ფეხებზე წონის გადატანა • ესაჭიროება სხვა პირის დახმარება ერთი ადგილიდან მეორეზე გადასასვლელად
სამკურნალო ფეხსაცმელი, ეს არის ფეხსაცმელი სპეციალური მახასიათებლებით, რომლებიც ხელს უწყობენ ტერფების დაცვას და მხარდაჭერას.	• ემუქრება ტერფის ჭრილობის განვითარების რისკი.

- გადაადგილებისათვის დამხმარე ზოგიერთი საშუალება მოწოდებული უნდა იყოს ისეთი სამსახურების მიერ, სადაც პერსონალი უფრო სპეციალიზებულია სწავლებისა და რესურსების მეშვეობით. ეს პროდუქტები არ შედის დამხმარე პროდუქტების სწავლებაში (TAP). მაგალითებია: ეტლები და ბალიშები, ქვედა კიდურების პროთეზები, ქვედა კიდურის ორთეზი, შებრუნებული მოძრავი საყრდენი ჩარჩო, ჩარჩო ფეხზე დგომისთვის, დამხმარე საშუალებები მწოლიარეთათვის.

გაკვეთილი 3: როგორ ჩავატაროთ გადაადგილებისთვის დამხმარე საშუალებების სკრინინგი

- გამოიყენეთ მობილობის სკრინინგის ფორმა იმის გასარკვევად, შეუძლია თუ არა პირს, რომელსაც აქვს მობილობის პრობლემები, ისარგებლოს:
    - გადაადგილებისთვის დამხმარე საშუალებებით
    - სხვა სახის დამხმარე პროდუქტებით
    - სხვა სერვისებზე მიმართვით
- ფორმა შედგება ექვსი განყოფილებისგან:

1. ინფორმაცია პირის შესახებ

2. მობილობისა და ჯანმრთელობის რისკის მარტივი შემოწმება:
    - პირი მობილობის უეცარი ვარდნით მიმართეთ ჯანდაცვის სამსახურში
    - ორი წელზე უფროსი ასაკის ბავშვები, რომლებიც ვერ ახერხებენ სიარულს, მიმართეთ სარეაბილიტაციო სამსახურში
    - ნებისმიერს, ვისაც დაცემის რისკი ემუქრება, შეიძლება დასჭირდეს დამხმარე პროდუქტი ან/და მიმართოს სარეაბილიტაციო სამსახურს
    - ნაწოლის შედეგად დაზიანებით ნებისმიერ პირს მიეცით რჩევები და მიმართეთ ჯანდაცვის სამსახურში
    - შემდეგი რისკის მაჩვენებლის მქონე ყველა პირისთვის შეავსეთ ტერფის სკრინინგის ფორმა **და** მიმართეთ ჯანდაცვის სამსახურში, თუ უკვე რეგულარულად არ სტუმრობს შესაბამის ჯანდაცვის სამსახურს:
    - დიაბეტი, კეთრი, გულის ან/და თირკმელების დაავადება
    - ტერფის/ფეხის ჭრილობა, დაზიანება ან შეშუპება ან/და ამპუტაცია
    - ტერფის ჭრილობა წარსულში
    - ალკოჰოლის დიდი ოდენობით და თამბაქოს მომხმარებელი პირი, ხშირად გადაადგილება ფეხშიშველი.
3. ტერფის სკრინინგი (იხილეთ ტერფის სკრინინგის გზამკვლევი)
4. მარტივი სკრინინგის კითხვები გადაადგილებისათვის დამხმარე საშუალებების შესარჩევად
5. სხვა დამხმარე პროდუქტები
6. გეგმა, რომელიც, შესაძლოა, მოიცავდეს:
    - შესაძლო სკრინინგი სხვა სახის დამხმარე პროდუქტებისთვის (დასახმარებლად ხედვაში, სმენაში, თვითმოვლაში, კომუნიკაციაში, შემეცნებაში)
    - შეფასება მარტივი დამხმარე პროდუქტების საჭიროების დასადგენად
    - ასწავლეთ ადამიანს ტერფის მოვლა და შესაფერისი ფეხსაცმლის გამოყენება
    - სხვა სერვისებზე მიმართვა
    - გადაწყვეტილება, როდის იქნება საჭირო შემდგომი დაკვირვება, და, იდეალურ შემთხვევაში, შემდგომი ვიზიტის დანიშვნა.